



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ საკითხებზე უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე განიხილავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას. რუსეთის მიერ აფხაზეთის დე-ფაქტო რეპუბლიკასთან გასაფორმებელი ხელშეკრულება სწორედ ამგვარ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი პუნქტით ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

☐☐☐☐☐☐☐ უშიშროების საბჭოს შესახებ ☐ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი. საბჭოს მუდმივი წევრები არიან: პრემიერმინისტრი, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები და უშიშროების საბჭოს მდივანი. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მონაწილე იქნენ ასევე სხვა პირებიც.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა ფერხდება მთავრობისა და პრეზიდენტის შეუთანხმებელი მუშაობის გამო. სხვადასხვა ინსტიტუტსა თუ თანამდებობის პირს შორის ამა თუ იმ საკითხზე დისკუსია, და თუნდაც კამათი, ჯანსაღი დემოკრატიული პროცესის ნაწილია, თუმცა, ბოლო პერიოდში, საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტს შორის დაპირისპირება აშკარად სცილდება ასეთი ჯანსაღი პროცესის ფარგლებს და საფრთხეს უქმნის როგორც ხელისუფლების ეფექტიან მუშაობას, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაციას და მოქალაქეთა ნდობას მათ მიმართ. ამასთან, სამწუხაროა, რომ დაპირისპირების მიზეზი და მსჯელობის საგანი ხშირად მეორეხარისხოვანი საკითხები უფროა, ვიდრე ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური პრობლემები.

მოვუწოდებთ ყველა თანამდებობის პირს, პატივი სცეს სახელმწიფო ინსტიტუტების კონსტიტუციით დადგენილ ფუნქციებს და იმოქმედოს, პირველ რიგში, კანონის მოთხოვნებისა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)**

**საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო**

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)**